საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4216
08/08/2022

4216-21-2-202208081126

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ დირექტორს
ბატონ გიორგი ლეჟავას
მის: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. N 3-2
ელ. ფოსტა: ni.lezhava@gmail.com

ასლი: რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას

ბატონო გიორგი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N2652 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №7 ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაბნევის ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთ საკონტროლო წერტილში (კვების მრეწველობის ობიექტი - ლუდის კომბინატი) მტვრის კონცენტრაცია შეადგენს 0.92 ზდკ-ს. ამასთან, საწარმოში დაგეგმილია მხოლოდ 90%-იანი ერთსაფეხურიანი გაწმენდის სისტემის (მტვერდამჭერი ციკლონი) მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, განხილულ იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევის შემცირების ტექნოლოგიური ალტერნატივები, მათ შორის, სახელოებიანი ფილტრების გამოყენების საკითხი და შესაბამისი დასაბუთება წარმოდგენილ იქნეს გზშ-ის ანგარიშში;
- ასევე, დასაშვებ ზღვრამდეა აზოტის ორჟანგის კონცენტრაცია - 0,86 ზდკ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზოტის დიოქსიდის გაფრქვევების შემცირების მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებებები და წარმოდგენილ იქნეს გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ინფორმაცია წიდების მოსალოდნელი პროცენტული შემადგენლობისა და აღნიშნულის გათვალისწინებით, მათი გამოყენების შესაძლებლობებისა და მიმართულებების შესახებ;

სააგენტო, კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო